

გადაწყვეტილება №გ-1/507/2018

გ. ნ.-ს განცხადების განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი

07/09/2018

განმცხადებელი: გ. ნ. (პ/ნ *****)

მოთხოვნა: შპს „ა“-ს (ს/კ *****) და „ბ“-ს (ს/კ *****) მიერ განმცხადებლის ინფორმირების წესების დარღვევაზე და მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევაზე რეაგირება.

აღწერილობითი ნაწილი

2018 წლის 03 ივლისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს №PDP 8 18 00002784 განცხადებით მომართა მოქალაქე გ. ნ. მ. იგი მიუთითებდა, რომ ყოფილი დამსაქმებლებისგან - შპს „ა“ (შემდგომში - სააგენტო) და „ბ“ (შემდგომში - კომპანია) ვერ იღებს სრულყოფილ ინფორმაციას მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. კერძოდ, განმცხადებლის მითითებით, 2018 წლის 04 და 15 მაისს მიმართა სააგენტოს და კომპანიას ინფორმაციის მოთხოვნით, თუ კონკრეტულად ვინ იყო უფლებამოსილი დამმუშავებელი მის მიმართ დისციპლინური წარმოების ფარგლებში, თუმცა ორივე მათგანმა თავი აარიდა განმცხადებლისთვის ინფორმაციის მიწოდებას. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მან სააგენტოსა და კომპანიისგან მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

- 2016 წელს დაწყებული დისციპლინური წარმოების ფარგლებში რომელი კონტრაქტორი კომპანიებისგან და თანამშრომლებისგან შეგროვდა განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია, რა ინფორმაცია გაიკა მათზე და როდის. აღნიშნულ კითხვაში განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მისი 2018 წლის თებერვლის განცხადების განხილვის ფარგლებში (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილება №გ-1/219/2018) სააგენტომ და კომპანიამ განმარტეს, რომ სააგენტომ კომპანიისგან ინფორმაცია გ. ნ.-ს შესახებ მიიღო ზეპირი ფორმით, თუმცა განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მის ხელთ არსებული ელექტრონული ფოსტის მიმოწერის თანახმად, კომპანიამ წერილობითი ფორმით აცნობა სააგენტოს განმცხადებლის არასათანადო ქცევის შესახებ ინფორმაცია (განმცხადებლის წერილს თან ერთვოდა კომპანიის მიერ სააგენტოსთვის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინების ამსახველი ე.წ. „სქრინშოტი“, რომლის თანახმადაც

კომპანია წერდა სააგენტოს, რომ კომპანიისთვის ცნობილი გახდა განმცხადებლის არასათანადო ქცევის შესახებ და სთხოვდა სააგენტოს დაეწყო მოკვლევა. დეტალების განსახილველად კომპანია სააგენტოს მიუთითებდა დაკავშირებოდა ტელეფონით);

- ვინ ამუშავებდა განმცხადებლის პერსონალურ მონაცემებს 2016 წლის ** აპრილს დაწყებული დისციპლინური საქმისწარმოებისას და ვისთვის იყო ცნობილი საქმის დეტალები. შეკითხვით განმცხადებელი ასევე ითხოვდა სააგენტოსა და კომპანიის კონკრეტული თანამშრომლების ვინაობის დასახელებას და სამართლებრივ საფუძველს, რაც მათ ანიჭებდა პროცესში მონაწილეობის მიღების უფლებას;
- კონკრეტულად შრომითი ურთიერთობის რომელი საფუძველით დამუშავდა განმცხადებლის პერსონალური მონაცემები - ხელშეკრულებით, კომპანიის მეთოდიკით, სააგენტოს ქცევის კოდექსით თუ შინაგანაწესით. განმცხადებელი ასევე ითხოვდა დასახელებული დოკუმენტების მუხლების მითითებას;
- კონკრეტულად რომელი წყაროებიდან შეგროვდა ინფორმაცია დისციპლინური წარმოების ფარგლებში. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ როგორც მისთვის იყო ცნობილი, ინფორმაცია შეგროვდა მისი თანამშრომლებისგან (მას დასახელებული ჰქონდა რამდენიმე თანამშრომლის ვინაობა) და ითხოვდა დაზუსტებას, რა ინფორმაცია გაიცა მათზე წარმოების დროს და რა ინფორმაცია შეგროვდა მათგან. ასევე, რა ინფორმაცია აისახა წარმოებულ ოქმებში;
- რა დოკუმენტები მომზადდა დისციპლინური წარმოების დროს და გადაეცა თუ არა ის მესამე მხარეს;
- გარდა განმცხადებლის მიერ დასახელებული კომპანიის თანამშრომლებისა, ვინ იყო ჩართული დისციპლინურ საქმისწარმოებაში, ვისგან შეგროვდა მონაცემები და რა მონაცემები გაიცა მათზე. მონაწილეობდა თუ არა წარმოებაში ეთიკის ჯგუფის უფროსი მ. ა., რა ეტაპზე იყო იგი ჩართული საქმისწარმოებაში და რა მონაცემები იყო მისთვის ხელმისაწვდომი;
- რა სამართლებრივი საფუძველით ატარებდა კომპანია განმცხადებლის სამედიცინო შემოწმებას 2015 წლის ბოლოს და 2016 წლის პირველ ნახევარში. რა სამედიცინო კვლევები ჩატარდა და ვისთვის იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და სად ინახება ეს ინფორმაცია (*განმცხადებლის მიერ აპარატისთვის დამატებით წარმოდგენილი განმარტებით, აღნიშნულ შეკითხვაში გულისხმობდა კომპანიის მიერ ალკოჰოლისა და ნარკოლოგიური შემოწმებების შედეგად მონაცემთა დამუშავებას*);
- რა სამართლებრივი საფუძველით გრძელდება განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება მისი სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ;
- რა სამართლებრივი საფუძველით ინახავს კომპანია განმცხადებლის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის 2013 წლის მონაცემებს. ვინ არის „****“ სისტემაში არსებული განმცხადებლის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელი და როგორ შეიძლება ამ სისტემაში არსებული მცდარი ინფორმაციის შესწორება.

გ. ნ. განცხადებაში ასევე მიუთითებდა სააგენტოსა და კომპანიის მიერ მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევაზე. კერძოდ, მისი განმარტებით, სააგენტომ და კომპანიამ განმცხადებლის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ ინფორმაცია გააცნეს ვაკანტურ პოზიციაზე გამართული კონკურსის (რომელშიც მონაწილეობას იღებდა განმცხადებელი) კომისიის წევრებს, რითაც შეილახა მისი რეპუტაცია და ღირსება. კონკურსის დამთავრებიდან ერთი თვის შემდეგ კი გამოიკვეთა, რომ მიმდინარე დისციპლინური წარმოება დამთავრდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

განმცხადებლის მითითებით, მისმა დამსაქმებელმა მონაცემების დამუშავება დაიწყო მისთვის უცნობი კონტრაქტორი კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, თუმცა არც კომპანიას და არც სააგენტოს არ გადაუმოწმებია იყო თუ არა მიღებული ინფორმაცია სწორი და სარწმუნო. მიუხედავად ამისა, მათ გააგრძელეს მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით, რომ შეექმნათ განმცხადებლის მიმართ ნეგატიური განწყობა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის 09 ივლისის №გ-1/400/2018 გადაწყვეტილებით გ. ნ.-ს განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად და 2018 წლის 25 ივლისის №PDP 9 18 00003199 წერილით კომპანიას და №PDP 2 18 00003200 წერილით სააგენტოს მოეთხოვათ განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაცია.

სააგენტოს მიერ განმცხადებლის ინფორმირება

განმცხადებლის მიერ მისი მიმართვების საპასუხოდ წარმოდგენილი სააგენტოს წერილებით, სააგენტოს მიერ აპარატში 2018 წლის 08 აგვისტოს წარმოდგენილი №PDP 7 18 00003403 წერილით და ასევე, 2018 წლის 21 აგვისტოს გამართულ ზეპირი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილი განმარტებებით იკვეთება შემდეგი:

სააგენტომ განმცხადებლის 2018 წლის 04 მაისის წერილი მიიღო 2018 წლის 07 მაისს, რომელსაც პასუხი გასცა ამავე წლის 15 მაისს (განმცხადებლისთვის საპასუხო წერილის ჩაბარების თარიღი: 2018 წლის 16 მაისი). წერილით განმცხადებელს თავდაპირველად განემარტა, რომ სააგენტო და განმცხადებელი იმყოფებიან სასამართლო დავის რეჟიმში, რომლის ფარგლებშიც მხარეებს შორის გაცვლილია სარჩელი, დაზუსტებული სარჩელი, შესაგებელი, დაზუსტებული შესაგებელი და ა.შ. ამასთან, ბოლო პერიოდში მხარეებს შორის შედგა რამდენიმე წერილობითი კომუნიკაცია, სადაც გაკეთდა მოცულობითი განმარტებები. მხარეებს შორის კომუნიკაციის ფარგლებში განმცხადებელს გადაეცა 750 (შვიდას ორმოცდაათი) გვერდისგან შემდგარი მასალა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში ზეპირი განხილვის სხდომაზე განმცხადებელს გაეცა მის შეკითხვებზე პასუხი (უნდა აღინიშნოს, რომ გ. ნ.-ს 2018 წლის 19 თებერვლის №PDP 5 18 00000648 განცხადების საფუძველზე ინსპექტორმა შეისწავლა სააგენტოსა და კომპანიის მიერ განმცხადებლის ინფორმირების, მათ შორის 2016 წლის დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ, კანონიერების საკითხი და სწორედ ამ განცხადების განხილვის ფარგლებში გამართულ ზეპირ

განხილვაზე მიუთითებდა კომპანია). სააგენტო წერილში ასევე მიუთითებდა, რომ მხარეებს შორის მრავალგზის შემდგარი კომუნიკაციისას ამოწურა დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენის რესურსი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სააგენტო განმცხადებელს განუმარტავდა შემდეგს:

- ადასტურებდა, რომ ზეპირად მიიღო შეტყობინება კომპანიისგან, როგორც ეს მითითებული იყო სააგენტოსთვის კომპანიის მიერ მიწერილი ელექტრონული ფოსტის ბოლო აბზაცში. ხოლო, ელექტრონული ფოსტა არ იყო ინფორმაციული ხასიათის. სააგენტო ასევე მიუთითებდა, რომ აღნიშნული მიმოწერა განმცხადებლისთვის ხელმისაწვდომი გახდა თავად სააგენტოსგან. ამასთან, სააგენტო განმცხადებელს განუმარტავდა, რომ არ ეთანხმებოდა განმცხადებლის მიერ მოყვანილი ფაქტების მისეულ ინტერპრეტაციას;
- დისციპლინური წარმოების ფარგლებში სააგენტომ ინფორმაცია მიიღო ზეპირი ფორმით, განმცხადებელთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი სხვადასხვა პირებისგან გარკვეული მოვლენების შესახებ. ამ პროცესში სააგენტოს რაიმე დოკუმენტი არ შეუდგენია, ვინაიდან დისციპლინურ დევნას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, არც შემაჯამებელი გადაწყვეტილების საჭიროება არსებობდა. ასევე, მესამე პირებს არ მიწოდებიათ წერილობითი პასუხი მათი მხრიდან გაცხადებული პრეტენზიების საპასუხოდ. სააგენტო ასევე მიუთითებდა, რომ კომპანია მოქმედებდა და ინფორმაციას იღებდა იმ ფარგლებში, რაც საჭირო იყო მისთვის, როგორც სააგენტოს კლიენტისთვის, რომლის პროექტზე სამუშაოდაც იყო დაქირავებული განმცხადებელი;
- დანარჩენ დეტალებზე სააგენტო განმცხადებელს განუმარტავდა, რომ განმცხადებელს ან მიღებული ჰქონდა უკვე მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და მოთხოვნა მოიცავდა სხვა პირის პერსონალურ ან/და კონფიდენციალურ მონაცემებს ან/და შესაძლოა შეიცავდა ისეთ დეტალებს, რომლებზეც მათი მხრიდან განმარტება შეუძლებელი იყო;
- ბოლო პუნქტში დასმულ საკითხზე სააგენტო განმარტავდა, რომ სავარაუდოდ აღნიშნული შეკითხვა ეხებოდა კომპანიას და თუკი განმცხადებელი აღმოაჩენდა კომპანიის მიერ განმცხადებელზე რაიმე არასწორი ინფორმაციის ფლობას, განმცხადებელს შეეძლო მიემართა სააგენტოსთვის, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში ეცდებოდა რეაგირების მოხდენას.

2018 წლის 24 მაისის წერილით განმცხადებელმა განმეორებით მიმართა სააგენტოს და მიუთითა, რომ სააგენტო თავს არიდებდა მისთვის მოთხოვნილი კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებას და ითხოვდა დაზუსტებულ ინფორმაციას, კერძოდ:

- მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ სააგენტოსგან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღო დავალება - დაწყებულიყო მოკვლევა განმცხადებელთან დაკავშირებით, სააგენტომ არ შეასრულა კომპანიის დავალება და მხოლოდ ზეპირი ფორმით მიიღო შესაბამისი პირებისგან ინფორმაცია. ამასთან, განმცხადებელი შეკითხვაზე პასუხს ითხოვდა „კი ან არა“ ფორმატით;

- მასთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რომელი პირებისგან მიიღო ზეპირი ინფორმაცია დისციპლინური წარმოების ფარგლებში სააგენტომ. განმცხადებელი ასახელებდა კონკრეტული პირების ვინაობას და „კი ან არა“ ფორმატით ითხოვდა კითხვაზე პასუხის გაცემას. ამასთან, განმცხადებელი კვლავ ითხოვდა იმ ინფორმაციის დაზუსტებას, რომელიც მის შესახებ ამავე პირებზე გაიცა;
- კონკრეტულად ვის მიერ (სახელისა და გვარის მითითებით) გამოიკითხნენ ზემოაღნიშნული პირები;
- ხელშეკრულების რომელი პუნქტის საფუძველზე მიიღო კომპანიამ ინფორმაცია. ასევე, ხელშეკრულების გარდა მოქმედებდნენ თუ არა კომპანია და სააგენტო კომპანიის მეთოდის, კომპანიის ან სააგენტოს ქცევის კოდექსის ან შინაგანაწესის მიხედვით. ამასთან, განმცხადებელი ითხოვდა აღნიშნული დოკუმენტების კონკრეტული მუხლების დასახელებას;
- განმცხადებლის მითითებით, მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ანიჭებდა კომპანიის თანამშრომლებს უფლებას მიეღოთ განმცხადებლის პერსონალური მონაცემები. გარკვეული წესების მიხედვით, იგივე უფლებით სარგებლობდა ეთიკის ჯგუფის უფროსი მ. ა.. აქედან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვდა სააგენტოს „კი ან არა“ ფორმატში მიეწოდებინა ინფორმაცია, იყო თუ არა ჩართული მის მიმართ განხორციელებულ დისციპლინურ საქმისწარმოებაში დასახელებული პირი.

2018 წლის 24 მაისის წერილი სააგენტოს ჩაბარდა ამავე წლის 25 მაისს, რომელზეც სააგენტომ განმცხადებელს საპასუხო წერილი გაუგზავნა ამავე წლის 29 მაისს (განმცხადებლისთვის ჩაბარების თარიღი 01 ივნისი). სააგენტომ განმცხადებელს წერილით განუმარტა შემდეგი:

- პირველ შეკითხვაზე სააგენტო მიუთითებდა, რომ შეკითხვის შინაარსი შეიცავდა საკითხის არასწორ ინტერპრეტაციას და მასზე შეუძლებელი იყო სრულყოფილი პასუხის გაცემა, მით უმეტეს „კი ან არა“ ფორმატით;
- თუ კონკრეტულად ვისგან მიიღო სააგენტომ განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია, სააგენტოს განმარტებით წარმოადგენდა სხვა პირების პერსონალურ მონაცემებს და სააგენტოს ევალუბოდა მათი დაცვის ვალდებულებაც, შესაბამისად, სააგენტო ვერ გასცემდა აღნიშნულ ინფორმაციას, მით უმეტეს „კი ან არა“ ფორმატით;
- კომპანიისთვის ინფორმაციის მიწოდების სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავდა, რომ ზოგადად შრომით ხელშეკრულებაში მითითება იმ საკითხზე, რომ სააგენტოსთან დასაქმების ფარგლებში განმცხადებლის შრომითი ვალდებულებების შესრულება დაკავშირებული იყო კომპანიის პროექტთან, ბუნებრივად და გარდაუვლად გულისხმობდა, რომ კომპანია განმცხადებლის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას მიიღებდა, ამის გარეშე ვერ რეალიზდებოდა განმცხადებლის შრომითი ხელშეკრულება. კომპანიის მიერ ინფორმაციის მიღების საფუძველი ასევე იკვეთებოდა თავად განმცხადებლის მიერ წერილში დაფიქსირებული ინფორმაციიდან (განმცხადებელი წერილში მიუთითებდა, რომ მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება

ანიჭებდა კომპანიის თანამშრომლებს უფლებას მიეღოთ განმცხადებლის პერსონალური მონაცემები);

- სააგენტო არ ფლობს რაიმე ინფორმაციას ან დოკუმენტაციას, რომელიც დაადასტურებდა მ. ა.-ს ჩართულობას განმცხადებელთან დაკავშირებულ რაიმე საქმისწარმოებაში. კომპანია ასევე მიუთითებდა, რომ ვინაიდან საკითხი საკმაოდ ხანდაზმულია, ყველა დოკუმენტისა და ინფორმაციის მოძიება ვერ ხერხდება;
- სააგენტო მიუთითებდა, რომ მხარეებს შორის კომუნიკაციის ფარგლებში სააგენტომ განმცხადებელს მიაწოდა ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც შეეძლო გაეზიარებინა და ნებისმიერი დამატებითი მცდელობა ამ კუთხით ემსახურება ორივე მხარის რესურსის უმიზნო ხარჯვას.

ამასთან, სააგენტომ აპარატში წარმოდგენილი წერილით და აპარატში გამართულ ზეპირი განხილვის სხდომაზე განმარტა შემდეგი:

- გ. ნ.-ს განცხადება არ წარმოადგენს აპარატისადმი პირველ მომართვას და არსებითად იმავე საკითხზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს უკვე განხილული აქვს მისი 2018 წლის 19 თებერვლის განცხადება, მისი ინფორმირების წესის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. აღნიშნული წარმოების ფარგლებში დეტალურად იყო წარმოდგენილი განმცხადებელთან სააგენტოს ურთიერთობის მრავალწლიანი ისტორია და წარმოების ფარგლებში სააგენტომ დაადასტურა, რომ განმცხადებელს სააგენტო ორი წელზე მეტია რეგულარულად აწვდის ინფორმაციას და მასალებს, რომლებიც ეხება მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებას. შესაბამისად, მოცემული განცხადების განხილვისთვის მნიშვნელოვანია წინა განცხადების განხილვის გარემოებების გათვალისწინება;
- როგორც ეს 2018 წლის 19 თებერვლის განცხადების განხილვის დროსაც განიმარტა, განმცხადებელს შრომითი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სააგენტოსთან და ამავე ხელშეკრულების საფუძველზე ის უშუალოდ შრომით საქმიანობას ახორციელებდა სააგენტოს კონტრაქტორ კომპანია - „ბ“-ში ამავე კომპანიის სასარგებლოდ;
- სააგენტოსა და განმცხადებელს შორის წარმოებდა მრავალწლიანი მიმოწერა და შედგა სხვადასხვა ტიპის წერილობითი კომუნიკაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, განმცხადებლისთვის მიწოდებული მონაცემები განმცხადებლისთვის ქმნიდა და ქმნის სრულყოფილ ინფორმაციას მისი ინტერესის საგანთან მიმართებით. სააგენტოს განმარტებით, განმცხადებელსა და სააგენტოს შორის აღარ არსებობს ახალი ურთიერთობა (გარდა მიმდინარე სასამართლო დავისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან კომუნიკაციისა, რომლის მასალებზე წვდომაც განმცხადებელს ისედაც აქვს), რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და წარმოშოს ინფორმაციის მოთხოვნის ახალი საჭიროება;
- სააგენტო ხაზს უსვამს, რომ მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ითხოვდა განმცხადებელი ან საერთოდ არ არსებობდა ან თავად განმცხადებლის შეკითხვა შეიცავდა იმგვარ ფაქტობრივ უზუსტობას, რომ მისთვის პასუხის გაცემა იყო შეუძლებელი. ასევე, განმცხადებელი პასუხს ითხოვდა „კი ან არა“ ფორმატით, რაც ასევე გამოიციხავდა მასზე

სათანადოდ პასუხის გაცემის საშუალებას, ხოლო, რიგ შემთხვევებში, ის რასაც კითხულობდა განმცხადებელი, წარმოადგენდა ან კონფიდენციალურ ინფორმაციას ან შეიცავდა სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს;

- სააგენტო მიუთითებდა, რომ განმცხადებელმა შესაძლოა კიდევ მრავალჯერ გამოითხოვოს ერთი და იგივე შინაარსის ინფორმაცია მათგან, იმ განსხვავებით, რომ შეარჩიოს შეკითხვის დასმის სხვაგვარი ფორმა. ეს კი განმცხადებელს მისცემს საშუალებას ამოუწურავად დასვას შეკითხვები სააგენტოს მიმართ. მსგავსი პრაქტიკა განმცხადებლის მხრიდან უკვე ფიქსირდება. საქართველოს კანონმდებლობა იცნობს ცნებას - „უფლების ბოროტად გამოყენება“ და სააგენტო მართალია იაზრებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ მონაცემთა სუბიექტის უფლებას, თუმცა ამ უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს ორგანიზაციათა მხრიდან ამხელა რესურსის გაწევის ხარჯზე, როდესაც საკითხი ეხება მხოლოდ განმცხადებლის ერთი და იმავე შინაარსის შეკითხვებს, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიმართ. სასურველია რაიმე გზით შეწყდეს მსგავსი შეკითხვების დასმა, თუმცა არა განმცხადებლის ინტერესების ხარჯზე, არამედ გონივრულობის ფარგლებში. სააგენტოს მითითებით, მათთვის ბუნდოვანია, რამდენჯერ შეიძლება მოითხოვოს განმცხადებელმა ერთი და იგივე შინაარსის ინფორმაცია და არის თუ არა სააგენტო ვალდებული ყოველ ჯერზე გასცეს განმცხადებელს პასუხი, მიუხედავად იმისა წარსულში რამდენჯერ აქვს იდენტური ინფორმაცია მიწოდებული;
- სააგენტოს ყველა სახის ინფორმაცია, რაც კი გააჩნდა განმცხადებელზე, გადაცემული აქვს მისთვის და ფიზიკურად არ ფლობს რაიმე დამატებით ინფორმაციას;
- 2016 წელს განმცხადებლის მიმართ არსებული წარმოების შესახებ სააგენტომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ კომპანიისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სააგენტომ დაიწყო წინასწარი მოკვლევა იმისთვის, რომ დაედგინა, იყო თუ არა სხვადასხვა პირის მიერ კომპანიისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დისციპლინური საქმისწარმოების დაწყება აუცილებელი. რამდენადაც, ზეპირი გამოკითხვისა და განმცხადებლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სააგენტომ არ მიიჩნია საჭიროდ საქმისწარმოების დაწყება, საქმისწარმოება შეწყდა;
- წინასწარი მოკვლევის ეტაპზე კომპანიის თანამშრომლები გამოიკითხნენ ზეპირი ფორმით. ამ პროცესში ინფორმაციის დაოქმება არ მომხდარა. არც გამოკითხული პირებისთვის გაუმჟღავნებია სააგენტოს განმცხადებლის შესახებ რაიმე პერსონალური მონაცემები, პირიქით, მათგან ხდებოდა გარკვეულ ეპიზოდებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, ან/და განმცხადებლის თაობაზე რაიმეს სახის პრეტენზიის დაფიქსირება;
- რამდენადაც დისციპლინური საქმისწარმოება არ დაწყებულა და მოკვლევის ეტაპზე შეწყდა საქმე, სააგენტოს არც კომპანიისთვის უცნობებია შედეგების შესახებ;
- სააგენტოს განმარტებით, კომპანია წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და მის კონკურსში განმცხადებელი მონაწილეობდა არა სააგენტოს შუამავლობით, არამედ დამოუკიდებლად. შესაბამისად, კომპანიის კონკურსის კომისიის წევრებისთვის

განმცხადებელთან დაკავშირებული წარმოების შესახებ ინფორმაცია არ გამჟღავნებულა (კონკურსის კომისიის წევრებისთვის ინფორმაციის გამჟღავნების დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა);

- სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას განმცხადებელს აცნობოს კონკრეტულ პირთა ვინაობა, რომლებსგანაც კომპანიამ ან/და სააგენტომ განმცხადებლის შესახებ მიიღო ინფორმაცია (რაც გახდა წინასწარი მოკვლევის საფუძველი), ან/და ამ მოკვლევაში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაცია, ვინაიდან მნიშვნელოვანია ამ პირთა ინტერესების დაცვა. მათ სააგენტოსა და კომპანიისთვის ინფორმაციის მიწოდებისას მიაჩნდათ, რომ ინფორმაციის გაცემის შემდეგ მათი ვინაობები დარჩებოდა ანონიმური. შესაბამისად, ამ პირებს უნდა ჰქონდეთ გარანტია, რომ გარკვეული გარემოებების შესახებ დამსაქმებლისთვის ან/და დამსაქმებლის კონტრაქტორი კომპანიისთვის ინფორმაციის გაზიარების შემთხვევაში, მათ შესახებ ინფორმაცია იქნება დაცული და უფლება ექნებათ ანონიმურად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება. შესაბამისად, სააგენტო ვერ შელახავს მათ უფლებებს. აქვე მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებლის მიმართ წარმოება (წინასწარი მოკვლევა) დასრულდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

გ. ნ.-ს 2018 წლის 19 თებერვლის №PDP 5 18 00000648 განცხადების განხილვის ფარგლებში სააგენტომ აპარატს წარმოუდგინა, მათ შორის, შემდეგი ინფორმაცია:

- 2016 წლის ივნისში და ივლისში განმცხადებელთან ელექტრონული მიმოწერის ე.წ. სკრინშოტები (აღნიშნული მიმოწერა 2018 წლის 11 აპრილის №PDP 0 18 00001561 წერილით წარმოადგინა განმცხადებელმაც), რომლის თანახმად, სააგენტომ განმცხადებელს გადასცა ინფორმაცია მოკვლევის დაწყების ფაქტობრივი საფუძველების, გატარებული ღონისძიებების და საბოლოო შედეგების შესახებ. მიმოწერის თანახმად, სააგენტო განუმარტავდა განმცხადებელს, რომ წარმოება არ იყო მიმართული ვინმეს წინააღმდეგ, არამედ ემსახურებოდა სააგენტოსთვის მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობის დადგენას. ამ პროცესში სხვადასხვა წყაროებიდან შეგროვდა ინფორმაცია, მათ შორის განმცხადებლისგან და ვინაიდან დამატებითი კითხვები არ გაჩნდა, პროცესი არ გადაზრდილა ახალ სტადიაში და დასრულდა მოკვლევა. სააგენტო განმცხადებელს ასევე განუმარტავდა, რომ 2016 წლის ** აპრილს შეტყობინებული (განმცხადებლის მითითებით სწორედ 2016 წლის ** აპრილის შეტყობინება ამტკიცებს, რომ მის მიმართ ჩატარდა სრული მოკვლევა და წინასწარ ეტაპზე არ შეწყვეტილა წარმოება) დისციპლინური წარმოება ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით დახურული იყო. წარმოების დახურვის საფუძველი კი განმცხადებლის მიერ დარღვევის დამადასტურებელი არასაკმარისი მტკიცებულებები იყო;
- სააგენტო 2018 წლის 07 თებერვალს, განმცხადებლის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის მომენტისათვის, დისციპლინური წარმოების შესახებ კონკრეტულ მონაცემებს აღარ ამუშავებდა, ვინაიდან, პროცესები დიდი ხნის დასრულებული იყო.

კომპანიის მიერ განმცხადებლის ინფორმირება

განმცხადებლის მიერ მისი მიმართვების საპასუხოდ წარმოდგენილი კომპანიის წერილებით, კომპანიის მიერ 2018 წლის 07 აგვისტოს აპარატში წარმოდგენილი №PDP 3 18 00003391 წერილით და ასევე, 2018 წლის 21 აგვისტოს გამართულ ზეპირი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილი განმარტებებით იკვეთება შემდეგი:

კომპანიამ განმცხადებელს 2018 წლის 04 მაისის წერილობითი მიმართვის პასუხად 2018 წლის 11 მაისის წერილით (ჩაბარების თარიღი: 2018 წლის 14 მაისი) განუმარტა, რომ მიმართვა შედგენილი იყო როგორც კომპანიის, ასევე სხვა იურიდიული პირის (სააგენტოს) სახელზე და ბუნდოვანი იყო რომელი ადრესატისგან რა ინფორმაციას ითხოვდა განმცხადებელი. აქედან გამომდინარე, კომპანიამ განმცხადებელს მიუთითა, წერილი შეედგინა კომპანიის სახელზე და დაეზუსტებინა, თუ კონკრეტულად რა ინფორმაციის მიღება სურდა კომპანიისგან.

2018 წლის 15 მაისს განმცხადებელმა დაზუსტებული წერილით მიმართა კომპანიას, თუმცა, აღნიშნული წერილი შინაარსობრივად იყო 2018 წლის 04 მაისის მიმართვის იდენტური. წერილში მხოლოდ შეცვლილი იყო ადრესატი და სააგენტოსა და კომპანიის ნაცვლად მითითებული იყო მხოლოდ კომპანია.

2018 წლის 23 მაისის საპასუხო წერილით კომპანიამ განმცხადებელს განუმარტა შემდეგი:

- განმცხადებლის წერილზე თანდართული შეტყობინებიდან ნათლად ჩანდა, რომ განმცხადებლის მიმართ დაფიქსირებული საჩივარი განსახილველად გადაეცა სააგენტოს, განმცხადებლის დამქირავებელ ორგანიზაციას. კომპანიას არ გააჩნია განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია;
- განმცხადებლის კატეგორიული მოთხოვნით, დისციპლინური მოსმენის სხდომას, რომელიც ჩაატარა განმცხადებლის დამქირავებელმა - სააგენტომ, დაესწრნენ კომპანიის კადრების მენეჯერი ნ. ა. და პროექტის მენეჯერი ლ. მ. (განცხადების განხილვის ფარგლებში განმცხადებელმა მიუთითა, რომ ეს ინფორმაცია ეხებოდა არა 2016 წელს დაწყებულ წარმოებას, არამედ მის მიმართ 2015 წელს დაწყებულ დისციპლინურ წარმოებას, რომელიც დასრულდა 2016 წელს. ეს ინფორმაცია 2018 წლის 21 აგვისტოს გამართული ზეპირი განხილვის სხდომაზე დაადასტურა კომპანიამ და განმარტა, რომ განმცხადებელს პასუხი გასცა 2015 წლის დისციპლინური წარმოების შესახებ);
- კომპანიაში განმცხადებლის დისციპლინარულ წარმოებასთან დაკავშირებით დოკუმენტი არ მომზადებულა;
- ეთიკის კოდექსის შესაბამისობის დაცვის ოფიცერი მ. ა. არ მონაწილეობდა განმცხადებლის მიმართ აღძრულ დისციპლინარულ წარმოებაში;
- კომპანია განმცხადებელს განუმარტავდა, რომ მის დამქირავებელს არ წარმოადგენს კომპანია და შესაბამისად, მისი განთავისუფლება კომპანიიდან არ მომხდარა, ხოლო, ინფორმაციის დამუშავების საფუძვლებთან დაკავშირებით კომპანია მიუთითებდა საკუთარი კანონიერი ინტერესების დაცვაზე;

- დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით კომპანია განმცხადებელს განუმარტავდა, რომ ვინაიდან კომპანია არ ფლობდა შესაბამის ინფორმაციას, განმცხადებელს უნდა მიემართა მისი დამქირავებელი ორგანიზაციისთვის (სააგენტოსთვის).

განცხადების განხილვის ფარგლებში გამართული ზეპირი განხილვის სხდომაზე კომპანიამ განმარტა შემდეგი:

- განმცხადებელი მის შესახებ ინფორმაციას სისტემატიურად ითხოვს კომპანიისგან. კომპანიისთვის მესამეჯერ მიმართვის შემდეგ, გ. ნ.-მ 2018 წლის თებერვალში განცხადებით მომართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. თუმცა აღნიშნული განცხადების განხილვის ფარგლებში კომპანიის მიერ განმცხადებლის ინფორმირების წესების დარღვევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ დადგინდა მხოლოდ ინფორმირების ვადის დარღვევის ნაწილში და შინაარსობრივი კუთხით დარღვევა არ გამოვლენილა. მოცემულ შემთხვევაში, განცხადება ეხება იგივე საკითხს. კომპანიამ განმარტა, რომ განმცხადებლისთვის გადაცემული აქვს ყველა ინფორმაცია, რასაც მის შესახებ ფლობს და მეტ ინფორმაციას კომპანია განმცხადებელს ვერ გადასცემს. განმცხადებლის მხრიდან კი შესაძლებელია მის შესახებ ინფორმაციის თაობაზე კომპანიისთვის მიმართვა გაგრძელდეს უსასრულოდ;
- კომპანიას, მას შემდეგ რაც სააგენტოს მიაწოდა ინფორმაცია განმცხადებელთან დაკავშირებული პრეტენზიების თაობაზე, 2016 წელს დაწყებული წარმოების ფარგლებში მონაწილეობა არ მიუღია. კომპანიის მხრიდან განმცხადებელთან დაკავშირებული წარმოებისას პირთა გამოკითხვას არავინ დასწრებია. არც წარმოების შედეგის თაობაზე მიუღია კომპანიას ინფორმაცია სააგენტოსგან;
- კომპანია არ ამუშავებს განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. კომპანია ფლობს მხოლოდ ნარკოლოგიურ და ალკოჰოლურ შემოწმებებთან დაკავშირებულ მონაცემებს, რომელიც არ წარმოადგენს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემებს. აღნიშნული შემოწმებები თანამშრომლებს უტარდებათ შერჩევითი პრინციპით, ნებაყოფლობით;
- სამსახურში შესვლა-გასვლის აღრიცხვასთან დაკავშირებული 2013 წლის ინფორმაციის შესახებ კომპანიამ განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც შეწყდა შრომითი ურთიერთობა განმცხადებელთან, მხარეები იმყოფებიან შრომით-სამართლებრივ დავაში, ამასთან, აღნიშნულ პროცესში არაერთხელ შეიცვალა და დაზუსტდა მოთხოვნები, შესაბამისად, კომპანია მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავის დასრულებამდე, კანონიერი ინტერესის დასაცავად, მნიშვნელოვანია ინფორმაციის შენახვა.

განცხადების განხილვის ფარგლებში განმცხადებელი 2018 წლის 27 აგვისტოს №PDP 1 18 00003641 წერილით დამატებით მიუთითებდა, რომ 2016 წელს მის მიმართ დაწყებული დისციპლინური წარმოების შესახებ ინფორმაცია მისთვის ორი თვის დაგვიანებით გახდა ცნობილი. მისი მითითებით, პროცესი არ შეჩერებულა წინასწარი მოკვლევის ეტაპზე და მის მიმართ დაიწყო დისციპლინური საქმისწარმოება, რასაც ადასტურებდა განმცხადებლისთვის

სააგენტოს თანამშრომლის მიერ გაგზავნილი ელექტრონული წერილი. აღნიშნული მიმართებით სააგენტოს თანამშრომელი განმცხადებელს ამცნობდა, რომ გადაწყდა მის მიმართ დაწყებულიყო დისციპლინური გამოძიების პროცესი. განმცხადებლის განმარტებით, წინასწარ მოკვლევას არ ითვალისწინებს სააგენტოში მოქმედი შინაგანაწესი. განმცხადებლის განმარტებით, მოკვლევის დროში გაჭიანურება შედიოდა კომპანიის ინტერესში, რათა ახალ ვაკანტურ თანამდებობაზე არ დასაქმებულიყო განმცხადებელი. ამასთან, კომპანიაში არსებული ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად შექმნილი კომისიის თავმჯდომარე იყო ლ. მ. (მისი უშუალო მენეჯერი), რომელიც ასევე ფლობდა ინფორმაციას მისი მიმართ არსებული წარმოების შესახებ. სწორედ ამიტომ ეთქვა განმცხადებელს უარი დასაქმებულიყო ახალ პოზიციაზე - „არასაკმარისი მენეჯერული უნარჩვევების გამო“. განმცხადებლის განმარტებით, ეს შეფასება მხოლოდ დისციპლინური მოკვლევის შედეგი იყო. განმცხადებლის მითითებით, მოკვლევის შესახებ ინფორმაცია სააგენტოს მიერ გავრცელდა განმცხადებლის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებთან, რომლებიც გამოიკითხნენ წარმოების დროს, რითიც შეილახა მისი რეპუტაცია.

განმცხადებელი მუდმივად მიუთითებდა, რომ 2016 წლის მოკვლევამ მისი ინტერესები დააზარალა, თუმცა განცხადების განხილვის ფარგლებში არ გამოვლინდა, რომ 2016 წლის მოკვლევას განმცხადებლის მიმართ რაიმე სახის სამართლებრივი შედეგი მოჰყვა და ვერც განმცხადებელმა წარმოადგინა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება.

სამოტივაციო ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა სააგენტოსა და კომპანიის მიერ განმცხადებლის ინფორმირების კანონიერებაზე და მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვაზე.

1. განმცხადებლის ინფორმირების კანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 21-ე მუხლით განმტკიცებულია მონაცემთა სუბიექტის უფლება - მოითხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. მონაცემთა დამუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება; მონაცემთა დამუშავების მიზანი; მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; რა გზით შეგროვდა მონაცემები; ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

განცხადების განხილვის ფარგლებში, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კომპანიის და სააგენტოს მიერ 2018 წლის 07 და 08 აგვისტოს აპარატში წარმოდგენილი №PDP 3 18 00003391 და №PDP 7 18 00003403 წერილების, ასევე 2018 წლის 21 აგვისტოს აპარატში გამართულ ზეპირი განხილვის სხდომაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების საფუძველზე დგინდება, რომ განმცხადებელმა 2018 წლის 04 მაისის წერილით სააგენტოს და

კომპანიას, დამატებით 2018 წლის 15 მაისის წერილით კომპანიას და 2018 წლის 24 მაისის წერილით სააგენტოს მოსთხოვა 2016 წელს მის მიმართ დაწყებული დისციპლინური წარმოების ფარგლებში მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაცია. განმცხადებლის ძირითად ინტერესს წარმოადგენდა, თუ კონკრეტულად ვისგან (ვინაობების მითითებით) მიეწოდა ინფორმაცია კომპანიას განმცხადებლის არასათანადო ქცევის შესახებ, ასევე, კონკრეტულად ვისგან შეგროვდა ინფორმაცია დისციპლინური წარმოების ფარგლებში. ასევე, რა დოკუმენტები მომზადდა წარმოების შედეგად, გაიცა თუ არა დოკუმენტები მესამე პირებზე. განმცხადებელი კომპანიას ასევე ეკითხებოდა, თუ რა საფუძველით ტარდებოდა მისი სამედიცინო შემოწმება და ვისთვის იყო ხელმისაწვდომი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. განმცხადებლის ინტერესის საგანს ასევე წარმოადგენდა მისი შენობაში შესვლისა და გასვლის შესახებ 2013 წლის ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებული გარემოებები.

განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადგინდა, რომ ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რომელმა პირებმა დააფიქსირეს პრეტენზია განმცხადებლის შესახებ, რის შედეგადაც სააგენტომ კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო მოკვლევა, ასევე, იმ პირთა ვინაობა, ვისგანაც წინასწარი მოკვლევისას სააგენტომ მიიღო გარკვეული სახის ინფორმაცია, სააგენტომ და კომპანიამ განმცხადებელს არ მიაწოდეს. წარმოდგენილი განმარტებით, აღნიშნული ინფორმაციის გაუცემლობის საფუძველს წარმოადგენს ამავე პირების ინტერესების დაცვა. გარკვეული გარემოებების შესახებ პრეტენზიის ან/და გარკვეულ ეპიზოდებთან დაკავშირებული ინფორმაციის მათი დამსაქმებლისთვის ან/და დამსაქმებლის კონტრაქტორი კომპანიისთვის გაზიარების შემთხვევაში, თანამშრომლებს აქვთ მოლოდინი, რომ მათ შესახებ ინფორმაცია დარჩება ანონიმური. კომპანია და სააგენტო ვალდებულნი არიან დაიცვან მათი ინტერესები და არ გასცენ მათ შესახებ ინფორმაცია.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი ითვალისწინებს უფლებას - მონაცემთა სუბიექტს მიეწოდოს ინფორმაცია თუ რა გზით შეგროვდა მის შესახებ მონაცემები. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს მიეწოდა ინფორმაცია მონაცემთა შეგროვების გზის თაობაზე, კერძოდ, როგორც მას არაერთხელ განემარტა, მისი სავარაუდო არასათანადო ქცევის შესახებ ინფორმაცია კომპანიას მიაწოდა მისმა ერთ-ერთმა კონტრაქტორმა კომპანიამ და დამატებით, გამოიკითხნენ განმცხადებლის თანამშრომლებიც. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია აკმაყოფილებდა ზემოხსენებული მუხლის მოთხოვნებს. ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს შემთხვევებს, რომელთა არსებობისას დასაშვებია, მათ შორის, 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა. მსგავს შემთხვევას წარმოადგენს გარემოება, როდესაც მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს, რომ განმცხადებლის შესახებ დაფიქსირებული

შეტყობინებების საფუძველზე დაწყებული წინასწარი მოკვლევა განმცხადებლისთვის ნეგატიური შედეგებით არ დასრულებულა. სააგენტოს განმარტებით, აღნიშნული მოკვლევა დისციპლინურ წარმოებაში არ გადაზრდილა, შესაბამისად, არც განმცხადებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი დამდგარა. ამასთან, განცხადების განხილვის ფარგლებში, განმცხადებელს არ წარმოუდგენია ამ პოზიციის საწინააღმდეგო მტკიცებულებები. აღნიშნული გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, განმცხადებლის აღმატებული ინტერესი მისი უფლებების დასაცავად დაადგინოს, თუ ვინ მიაწოდა კომპანიას ან/და სააგენტოს ინფორმაცია მისი სავარაუდო არასათანადო ქცევის შესახებ, არ იკვეთება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია „მამხილებელი“ პირების ვინაობა დარჩეს ანონიმური, რათა ერთი მხრივ, მათ შემდგომში თავი არ შეიკავონ მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნებისგან და მეორე მხრივ, დამსაქმებელს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ დასაქმებული პირის მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი არასათანადო ქცევის შესახებ და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. აქვე, ხაზგასასმელია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანხმად, ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად. მოცემულ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტომ განმცხადებლისთვის ინფორმაციის მიწოდებისას შეზღუდვა გამოიყენა მხოლოდ კონკრეტული პირების ვინაობების დასახელების ნაწილში და ინფორმაციის მიღების ზოგადი გზა განმცხადებელს შეატყობინა.

განმცხადებელი ასევე მიუთითებდა, რომ სააგენტო და კომპანია მას აწვდიდნენ მცდარ ინფორმაციას მის მიმართ არსებული დისციპლინური წარმოების შესახებ. კერძოდ, განმცხადებლის მითითებით, სიმართლეს არ შეესაბამება, რომ წარმოება დასრულდა წინასწარი მოკვლევის ეტაპზე და მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური საქმისწარმოება. სააგენტო და კომპანია განმარტავდნენ, რომ კომპანიამ სააგენტოს მიაწოდა განმცხადებლის არასათანადო ქცევის შესახებ ინფორმაცია, რის შემდგომაც პროცესში კომპანიას მონაწილეობა აღარ მიუღია. სააგენტოს განმარტებით, მას შემდეგ, რაც მათ გამოკითხეს შესაბამისი პირები, არ მიიჩნიეს საჭიროდ დისციპლინური წარმოების დაწყება, რის შესახებაც აცნობეს განმცხადებელს.

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს გ. ნ.-ს 2018 წლის 19 თებერვლის №PDP 5 18 00000648 განცხადების განხილვის ფარგლებში სააგენტოს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, კერძოდ, 2016 წლის ივნისში და ივლისში განმცხადებელთან ელექტრონული მიმოწერის ე.წ. სქრინშოტები, რომელიც ადასტურებს, რომ სააგენტომ განმცხადებელს გადასცა ინფორმაცია მოკვლევის დაწყების ფაქტობრივი საფუძველების, გატარებული ღონისძიებების და საბოლოო შედეგების შესახებ (აღნიშნული მიმოწერა 2018 წლის 19 თებერვლის განცხადების ფარგლებში ასევე წარმოადგინა განმცხადებელმაც). განცხადების განხილვის ფარგლებში რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ განმცხადებლის მიმართ ჩატარდა სრული მოკვლევა, რა დროსაც პირთა გამოკითხვაში

მონაწილეობა ასევე მიიღო კომპანიამ და აღნიშნულ პროცესში შედგა რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტები, ვერ იქნა წარმოდგენილი და დადასტურებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ განმცხადებელს მის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხი, გარდა კონკრეტული პირების ვინაობის დასახელებისა, მიეწოდა კანონით დადგენილ ვადაში. რაც შეეხება წინასწარ მოკვლევასთან დაკავშირებულ პირთა ვინაობის დაფარვას, აღნიშნული სააგენტომ და კომპანიამ განახორციელეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე პირების უფლებების და ინტერესების შელახვის თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, სააგენტოსა და კომპანიის მხრიდან მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

მნიშვნელოვანია, რომ როგორც მიმდინარე განცხადების, ასევე, 2018 წლის 19 თებერვლის №PDP 5 18 00000648 განცხადების განხილვის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ განმცხადებელმა კომპანიას და სააგენტოს არაერთხელ მიმართა და მიიღო საპასუხო ინფორმაცია მის შესახებ ინფორმაციის დამუშავების თაობაზე. აქვე, აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მცირე დროის მონაკვეთში განმცხადებელმა მოითხოვა ერთი და იმავე საკითხთან (2016 წელს დაწყებული მოკვლევა) დაკავშირებული ინფორმაცია, რის შესახებაც მას გაეცა პასუხი. „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ნებისმიერ პირს უნდა შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული პერიოდულობითა და გადაჭარბებული დაგვიანებისა თუ დანახარჯების გარეშე, მონაცემთა ავტომატიზებულ ფაილში მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების არსებობის ფაქტის დადასტურება, ასევე მისთვის მონაცემთა მიწოდება მისაღები ფორმით. აღნიშნული დანაწესი მნიშვნელოვანია, რამდენადაც, იგი ხაზს უსვამს მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიღების საჭიროებას და ასევე პერიოდულობას. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ განმცხადებელსა და სააგენტოს შორის ამ პერიოდში არ წარმოშობილა ახალი სახის ურთიერთობა, რომელსაც შესაძლოა განმცხადებლის მხრიდან მისი ინტერესის საგანთან დაკავშირებით შეეცვალა მონაცემთა დამუშავების საფუძველები, მიზნები და დამუშავებულ მონაცემთა მოცულობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის საფუძველს მოკლებული მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციების წუხილი განმცხადებლის მხრიდან სისტემატიურად, დროის მოკლე შუალედში, ერთი და იმავე ინფორმაციის კონკრეტული დამუშავებლისგან გამოთხოვის შესახებ, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მონაცემთა სუბიექტს მიღებული აქვს პასუხები.

2. მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად. ამასთან, მონაცემთა დამუშავება დაიშვება მხოლოდ კონკრეტული,

მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სააგენტომ და კომპანიამ განმცხადებლის მონაცემები დაამუშავეს მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევით. კერძოდ, განმცხადებლის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ ინფორმაცია გააცნეს კომპანიის ვაკანტურ პოზიციაზე გამართული კონკურსის კომისიის წევრებს, რითაც შეილახა განმცხადებლის რეპუტაცია და ღირსება. განმცხადებელი დამატებით მიუთითებდა, რომ მოკვლევის დროში გაჭიანურება იყო კომპანიის ინტერესებში, რათა ახალ ვაკანტურ თანამდებობაზე არ დასაქმებულიყო განმცხადებელი. ის გარემოება, რომ განმცხადებელს კომპანიის ახალ ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნაზე „არასაკმარისი მენეჯერული უნარჩვევების გამო“ ეთქვა უარი, განმცხადებლის მითითებით, მხოლოდ დისციპლინური მოკვლევის შედეგებით იყო განპირობებული. მოკვლევის შესახებ ინფორმაცია სააგენტოს მიერ გავრცელდა განმცხადებლის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებთანაც, რომლებიც გამოიკითხნენ წარმოების დროს, რამაც ასევე შელახა მისი რეპუტაცია.

ამასთან, განმცხადებლის მითითებით, მისმა დამსაქმებელმა მონაცემების დამუშავება დაიწყო მისთვის უცნობი კონტრაქტორი კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, თუმცა არც კომპანიას და არც სააგენტოს არ გადაუმოწმებია, იყო თუ არა მიღებული ინფორმაცია სწორი და სარწმუნო. მიუხედავად ამისა, მათ გააგრძელეს მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით, რომ შეექმნათ განმცხადებლის მიმართ ნეგატიური განწყობა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე და 264-ე მუხლების შესაბამისად კი, ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია მტკიცებულებების შეფასების შემდგომ, საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას დააფუძნოს მიღებული გადაწყვეტილება.

განცხადების განხილვის ფარგლებში სააგენტომ განმარტა, რომ კომპანიისგან მიიღო ინფორმაცია განმცხადებლის სავარაუდო არასათანადო ქცევის შესახებ. შესაბამისად, სააგენტოს უნდა დაედგინა, იყო თუ არა მიღებული ინფორმაცია რეალური და შეეფასებინა, რამდენად იყო აუცილებელი დასაქმებულის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყება. შესაბამისი გარემოებების დასადგენად აუცილებელი იყო საქმესთან დაკავშირებული შესაბამისი პირებისგან ინფორმაციის მიღება. თუმცა, ვინაიდან სააგენტომ ამ პირებისა და განმცხადებლისგან მიღებული განმარტებების შედეგად არ მიიჩნია საჭიროდ მოკვლევის ახალ ეტაპზე გადაყვანა, განმცხადებლის მიმართ საქმისწარმოება შეწყდა. კომპანიის მხრიდან განმცხადებელთან დაკავშირებული წარმოებისას პირთა გამოკითხვას არავინ დასწრებია. რაც

შეეხება მოკვლევის შესახებ ინფორმაციის კომპანიის ვაკანტურ პოზიციაზე გამართული კონკურსის კომისიის წევრებისთვის გაცნობას, სააგენტოს განმარტებით, კომპანია წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და მის კონკურსში განმცხადებელი არა სააგენტოს შუამავლობით, არამედ დამოუკიდებლად მონაწილეობდა. შესაბამისად, კომპანიის კონკურსის კომისიის წევრებისთვის განმცხადებელთან დაკავშირებული წარმოების (წინასწარი მოკვლევის) შესახებ ინფორმაცია არ გამჟღავნებულა. ამასთან, კომპანიამ ასევე განმარტა, რომ კომპანიას განმცხადებლის მიმართ მოკვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია.

განცხადების განხილვის ფარგლებში რაიმე სახის მტკიცებულება, რაც წარმოქმნიდა ეჭვს ან დაადასტურებდა, რომ კომპანიის კომისიის წევრებს სააგენტომ გაუმჟღავნა ინფორმაცია განმცხადებელთან დაკავშირებული მოკვლევის შესახებ, ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, განმცხადებელთან დაკავშირებული მოკვლევის შესახებ ინფორმაციის კომპანიისთვის, მათ შორის კომპანიის კომისიის წევრებისთვის გამჟღავნების ფაქტი არ გამოიკვეთა.

ამასთან, სააგენტომ, კომპანიისგან განმცხადებლის სავარაუდო არასათანადო ქცევის შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მისი და მათ შორის, მესამე პირების კანონიერი ინტერესების დასაცავად დაიწყო წინასწარი მოკვლევა, იმისთვის, რომ დაედგინა, რამდენად წარმოადგენდა მიღებული ინფორმაცია რეალობას და საჭიროების შემთხვევაში მოეხდინა რეაგირება. განცხადების განხილვის ფარგლებში რაიმე გარემოება, რაც მიუთითებდა ამ ინფორმაციის სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით დამუშავებაზე, არ გამოვლენილა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დისციპლინური წარმოების/წინასწარი მოკვლევის პროცედურები წარმოადგენს შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები კი წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსით, და მათი მართლზომიერების შეფასება სცდება ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, 21-ე, 24-ე, 27-ე, 34-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს გ. ნ.-ს 2018 წლის 03 ივლისის №PDP 8 18 00002784 განცხადების განხილვა;
2. განმცხადებელს, შპს „ა“-ს და „ბ“-ს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
3. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი